შეღავათიანი აგრო კრედიტის საკრედიტო სქემის ეფექტიანობა ბიზნესის ხელშეწყობის ფარგლებში

ანრი პოპიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

კურსის ხელმძღვანელი: პაატა ბრეკაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანრი პოპიაშვილი

04/04/2023

აბსტრაქტი

სოფლის მეურნეობის როლი ყოველდღიურად უფრო იზრდება, რაც დაგვანახა COVID-19-ის პანდემიამ და სხვადასხვა ომებმა, რაც ხელს უშლის საკვები პროდუქტებით მომარაგაბას. პოტენციალი ამ სფეროში უზარმაზარია, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც მიწები ნოყიერია და მორწყვის პრობლემა არ არსებობს.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სხვადასხვა ქვეყნები ყოველწლიურად გამოყოფენ ბიუჯეტს, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ფერმერებისათვის ჯანსაღი პირობების შექმნა და ხელშეწყობა, რათა ჰქონდეთ მოტივაცია, რაც შეიძლება მეტი მოსავლის მისაღებად. არსებობს უამრავი პროგრამა, რომლებიც გამიზნულია ამ კუთხით სხვადასხვა კომპონენტის განსავითარებლად, ფინანსებზე წვდომის გამარტივებით, პროცენტის სუბსიდირებით, ტრენინგცენტრების შექმნით, სარწყავი სისტემის გაუმჯობესებითა და სხვა მრავალი ასპექტით.

აღნიშნულ თემაში განხილული იქნება საქართველოში არსებული საკრედიტო საგარანტიო სქემა ,,შეღავათიანი აგრო კრედიტი'', რომელსაც კურირებს სოფლის განვითარების სააგენტო და რაც წლებია უკვე ფუნქციონირებს, მაგრამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი ცვლილება შევიდა პროგრამის ფარგლებში. ფერმერებისთვის ძალიან ხშირად გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა ფინანსებზე წვდომის პრობლემა, რაც სხვადასხვა მიზეზებთან იყო დაკავშირებული. სხვდასხვა ქვეყნების მაგალითით ნათელია, რომ საგრანტო სქემებით მოსარგებლე ბენეფიციარები ბევრად უფრო კონკურენტუნარიანები ხდებიან, ვიდრე ეს პროექტამდე იქნებოდა.

საქართველოში დღეს არსებული პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბენეფიციარებს შესაძლებლობა მისცეს მიიღონ ფულადი რესურსი სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუბისგან დაბალი საპროცენტო განაკვეთის ფონზე, შეიძინონ ახალი ტექნიკა და გაზარდონ ისეთი აქტივები, რაც საჭიროა მეურნეობების განვითარებისთვის.

კვლევაში ასევე განხილული იქნება სხვადასხვა მკვლევრის ემპირიული მტკიცებულებები საკრედიტო და საგარანტიო სქემების შესახებ. ყურადღება გამახვილებულია მიწის ბაზრის მნიშვნელობაზე და ამ კუთხით საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე. კვლევაში ძირითადად განიხილება პროგრამის ეფექტიანობის დადგენა ბენეფიციარებისათვის.

საძიებო სიტყვები: საკრედიტო და საგარანტიო სქემები, სოფლის მეურნეობა, მიწის ბაზარი, ეკონომიკა.

Abstract

The role of agriculture is increasing day by day, as seen by the pandemic of COVID-19 and various wars that interfere with the supply of food products. The potential in this area is huge, especially for countries where the soil is fertile and irrigation is not a problem.

Every year, different countries allocate a budget for the development of agriculture, where the creation and promotion of healthy conditions for farmers is provided as much as possible, so that they have the motivation to harvest as much as possible. There are many programs aimed at developing various components in this regard, by facilitating access to finance, subsidizing interest, creating training centers, improving the irrigation system and many other aspects.

In the mentioned topic, the existing credit guarantee scheme in Georgia, "preferential agro credit", which is supervised by the Rural Development Agency and has been operating for years, but in the last few years quite a lot of changes have been introduced within the program. Access to finance was often an intractable problem for farmers, which was related to various reasons. With the example of other countries, it is clear that the beneficiaries of the grant schemes are becoming much more competitive than they would have been before the project.

The main goal of the current program in Georgia is to give the beneficiaries an opportunity to receive cash resources from various financial institutions at a low interest rate, to purchase new equipment and to increase the assets needed for the development of farms.

Empirical evidence of various researchers on credit and guarantee schemes will also be discussed in the study. Attention is focused on the importance of the land market and the current situation in Georgia in this regard. The study mainly examines the effectiveness of the program for the beneficiaries.

Search words: credit and guarantee schemes, agriculture, land market, economy.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო სამაგისტრო კვლევის ხელმძღვანელ ბატონ პაატა ბრეკაშვილს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის. ასევე მინდა მადლობა ვუთხრა თითოეულ ბენეფიციარს, რომლებმაც კვლევაში მიიღეს მონაწილეობა და სს ტერა ბანკის წარმომადგენელს. მადლიერი ვარ ,,სოფლის განვითარების სააგენტოს'' გუნდის მოწოდებული ინფორმაციისთვის.